წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 43 10 07/09/2015

მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.21.26.351) და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფოს სერვისების განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლო 10 წლიანი უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გადაცემის თაობაზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის თანახმად და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და „წალკის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის #11 დადგენილების გათვალისწინებით:

1. წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 85.21.26.351) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო 10 წლიანი უზურფრუქტის ხელშეკრულებით გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

2. განკარგულება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე